რევაზ ლორთქიფანიძე

უფლისა და დედა ეკლესიის ჭეშმარიტ მსახურთა სადიდებლები

თ ბ ი ლ ი ს ი

2012

სადიდებლები დაწერილია უფლის გულწრფელი სიყვარულითა და წმინდა ქვაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისო შალიკაშვილის კურთხეული დალოცვით. განკუთვნილია ქრისტიანული მოძღვრებით დაინტერესებული მკითხველისათვის. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაძლიეროთ მარად.

უფლის სადიდებელი

მოევლინა იესო,
მხსნელად გონიერებას,
მას შემდეგ სულ უნათებს,
მოდგმით კაცობრიობას.

დრო გარწმუნებთ ცხოვრებაში,
გულით ლოცვის დიდ ძალებშიც,
ჩვენც ხომ ვცდილობთ ქრისტეს მადლში,
ვემსგავსოთ მას საქმეებში.

ვილოცოთ და ვეზიაროთ,
სიყვარულით, თავდადებით,
მხოლოდ ასე გავამრავლებთ,
დიდ ქრისტეში მაცხონებელთ.

სიკეთის ძალა

უფალი ხომ სიკეთეა,
სიტყვაა და სიყვარული,
ეს თუ გვესმის, სინათლეა,
წუთისოფლის გასავლელი.

ვიაროთ და სულ გვახსოვდეს,
სიკეთის ეს დიდი ძალა,
ის ხომ ჩვენთან სულ იქნება,
ვუღალატებთ? არასოდეს.

მით მეტია ძალა ქველის,
რაც ნაკლებად ვიტრაბახებთ,
თუმცა თქმა სჯობს უთქმელისა,
ქველსა თუკი გავამრავლებთ.

ღვთისმშობელი მარიამის სიყვარული

ყოვლადსათნოს, ყოვლადწმინდას,
ადამიანს ყოვლადდიდსა,
რომლის არსმაც დაიტია,
თვით ზეკაცი მეუფისა.

ამ განგებით აღმოცენდა,
სამების განგებულება.
წილის ყრა რომ დაუწესდა,
საქართველო განისაზღვრა.

ძალზე გვიყვარს, მარად ვხარობთ,
მის კურთხეულ სითბოსაც ვგრძნობთ,
მან ხომ თავად ქრისტე გვიშვა,
მრწამსად სარწმუნოებისა.

დაილოცოს დედა ღვთისა,
ჩვენი მასაზრდოებელი,
დამფარველი ქართველთ მთების,
წყარო მაცხოვარებისა.

უწმიდეს ილია მეორეს

ჩვენს სამშობლოს უფლის მადლით
ნიჭიერნი მრავლად ჰყავს,
მათში გენიოსებიც ხომ
საკმარისზე მეტი გვყავს.

მადლი უფალს, რომ ასეთი,
ერის სახე ბრძანდებით,
ერს აბრძენებთ ქადაგებით,
მარად თბილი მამა ხართ.

ღვაწლი საქებიც მრავლად გაქვთ,
უფლისგან მონიჭებული,

ასე აშენეთ სამება,
სასწაულს კვლავაც ამრავლებთ.

გალობთ და ხატავთ,
გვმოძღვრავთ, გვახარებთ,
სულიერად გვზრდით,
გაგვამთლიანეთ.

ჩაგრულების ქომაგობაც
ჩვეულებად იქციეთ,
ამისათვის შეგიყვარეთ
ერთად – ერთსულოვნებით.

მუხანათის ვერ გაშინებთ,
ურცხვობა, არც რიცხოვნება,
მწამს ბარაქიც მოიმატებს,
სიკეთისთვის განათდება.

თქვენმა ლოცვამ ახარა
უფლის სიტყვის დამწერნი,
საქმენმა კი ამაგრა,
ტაძრების საძირკველნი.

გაიხარებთ, ერის მამავ,
მამა ქრისტეს გულში მარად,
ვერ დაახშობს ამ სიკეთეს,
ფარისეთა ანტი ძალა.

ხან გამოცდა ელის რწმენას,
ხან ბოროტის რისხვა,
მაინც გულით მოვილოცავთ,
არ გავტეხავთ სიტყვას.

ლექსად ამბობდა დავითი
გალობებს გულით მოსულსა,
ასევე ვიტყვი ჩემს სათქმელს
გასახარებლად მოსულსა.

გაიხაროს ძველმა ტაომ,
მთელმა საქართველომ,

გაიხარეთ ერთან ერთად,
ერის დიდო ძეო.

თქვენებრ ლოცვების უნარი
აკვირვებს თავად ბერებსა,
ღიაა თქვენთვის ღვთის კარი
რომ ამეგობრებს ერებსა.

სულიერ მამას

უდიდეს მოძღვარ ღვთისოს,
ქრისტიანთ განმანათლებელს,
აღმაშენებლის სიმტკიცეს,
ბუნებით ვაჟკაცს, მოღვაწეს.

გაჭირვებულთა დამხმარეს,
სიკეთის დამფრთიანებელს,
ემრავლოს მის დიდ საქმეებს –
უფლის გზის მაძლიერებელს.

ვერ ვგებულობთ როგორ ასწრებს,
მრავალთათვის უხვად ზრუნვას,
თავად არას შეგაწუხებს,
მიტომ უყვართ, ყველა ლოცავს.

ავტორისაგან

მკითხველს მოვახსენებ, რომ არც ფილოლოგი ვარ და არც პოეტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახლავართ. ამდენად, არასოდეს მქონია პრეტენზია ლექსი დამეწერა და ამ საკმაოდ რთული კვალიფიციური საქმით, რომელსაც სპეციფიკური ნიჭი ესაჭროება, თავი გამომეჩინა. უბრალოდ, ეს ნამდვილად უფლის ძალამ გამაკეთებინა და გამაბედინა, როცა მარიამობა დღეს ჩემი ქალიშვილი დაიბადა და ამ თარიღის აღნიშვნის ოჯახურ ზეიმზე ექსპრომტი დაიწერა, რომელსაც, ზემოხსენებულ სადიდებლებთან ერთად, გაწოდებთ პირველდაწყებითი უცვლელი სახით:

მამობის სიხარული

შენ დაიბადე ღვთისმშობლის დღეს, ჩემო მარიამ,
დაგბედებოდეს ღვთაებრივი ცაცა და მიწაც,
არ დაგავიწყდეს შენი მამა – “ბატონი” რევაზ,
შობა დღეს გაჩნდა – “მოევლინა” ქვეყნიერებას.

დამთხვევა არის უბრალო, თუ რამ კანონი,
ქართველი ერის, ჩვენი კუთხის, ჩვენი ოჯახის,
რაღა თქმა უნდა დამთხვევაა, თანაც უბრალო,
მე მაინც ვიტყვი სადიდებლად აწმყო–წარსულის.

ლორთქიფანიძის ქალო, მარიამ, ჩემო მარიკა,
გვარით, სახელით იმეორებ დიდ მეცნიერ ქალს,
სიკეთით, შრომით, სიყვარულით და გამძლეობით,
გემტკიცებინოს ფენომენი ქართველქალობის.